წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი N6

2022 წლის 23 ივნისი

ქ. წალენჯიხა

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა, საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია. ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ავთანდილ გაბელია, ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე მაია მიქავა, ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის" თავმჯდომარე გონერი კვარაცხელია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავა, ქონების მართვის და რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავა. იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისის თავმჯდომარე რომანი კვარაცხელია. საკრებულოს აპარატის უფროსი იზოლდა მოლაშხია, საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი მაია ციმინტია.

ბიუროს სხდომა დაიწყო: 14:00 სთ.
ბიუროს სხდომა დასრულდა: 14:20 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელ სალიამ ბიუროს წევრებს გააცნო

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის შედგენის თაობაზე

მოიმინეს 1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის შედგენის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ ბიუროს წევრებს წარუდგინა საკრებულოს 2022 წლის 24 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

საკრებულოს ბიურომ ერთხმად გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ივნისის სხდომის დღის წესრიგის პროექტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. „„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2.,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
3.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
4.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე;
5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;
6.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში /იჯარით/ აუქციონის ფორმით გაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ
7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ
8.ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე;
9. გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.წალენჯიხის ზღვაიას დასახლების შესასვლელში არსებული ხეივნისთვის იაშა მესხიას სახელის მინიჭების, მიზანშეწონილობის თაობაზე.“.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია